# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

სამშაბათი 10 ივნისს

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზეთის „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 75 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 75


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

| გაზეთის ფასი: | | |
|---|---|---|
| | ერთი წლით | 7 მანეთი. |
| | ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით | 3 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

შაბათს, 14 ივნის დილის 11 საათზე, დანიშნულია ორმოცი დღის წირვა ტ. პანაშვიდი სოფელ ღანირის წმ. გიორგის ეკლესიაზე, უდროოთ დაკარგულის მერვე კლასის მოწაფის

## გიორგის (ყორყიკა)

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ გულ დამწვარი მშობლები მისი ბარბალე გიორგის ასული დგებუაძისა და ნიკოლოზ (კოკინია) ალექსის ძე დგებუაძე.

---

დაიწყო ხელის მოწერა

## ჯაჯუ ჯორჯიკიას

თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით „ჩვენი ერის“ რედაქცია სერ. გერსამიასა და გიგლა მებუკეს.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნონა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **აბასთუმანი** ნიკ. აბესაძესთან **წალვერში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ღამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში** **შუხუთში** **ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინამძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **განძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოღალევში** აქვსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მაღლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჭრებალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში** **სვირში** და **სიმონეთში** **სამკითხველოში**. **ქუთაისის გუბერნიის** სხვა დასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **საზღვარგარეთ** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

---

სპეციალური წიგნის მაღაზია

## კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

---

ექიმის ივ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## „რადიუმი“

ორშაბათიდან, 9 ივნისიდან, მარტო სამი დღით ახალი დიდი პროგრამა

### მხოლოდ მოზრდილთათვის

ბავშვები და მოსწავლენი არ დაიშვებიან.

პათე ჟურნალი

სენსაცია! შედევრ!

## სომნაბულისტი

თანამედროვე დრამა მხატვრული სერიიდან „ნორდისკისა, სამ ნაწილათ **ხინდინგას** მონაწილეობით. 1 ნაწილი: საბედისწერო დაცემა, მე-2 ნაწ. ძალა დიდი ოცნებისა, მე-3 ნაწ. ძლიერ გვიან.

## შფოთიანი ღამე

ერთი დონ-ჟუანისა. მხიარული ფარსი 3 ნაწილათ.

---

## ქუთაისი.

### თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისათანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

---

## ≡ რესტორან ბორჯომ ≡

პუშკინის ქუჩაზე მყოფი, **ივლიანე და ირაკლი ბიბილეიშვილებისა და ილიკო კვერნაძის** ღვინისა და სხვა სასმელების სავაჭრო და ღამსათევი ოთახები (ნუმრები) ამა წლის პირველ ივლისიდან **გადავა** ახალ ბინაზე ქარვასლის ქუჩა. ადანაიას შენობაში „ორიანტის“ გვერდში.

პატივისცემით ივლიანე და ირაკლი ბიბილეიშვილები და ილიკო კვერნაძე.

---

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

---

## ქ უ თ ა ი ს ი

## პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½2მ |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი**

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს.

სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

**ექიმი** ბ. **ა. მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

---

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

### ს. ა. ცეიტლინი.

ბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 9 საათ.—ნაშუადღევის 2 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

## სამწუხარო მოვლენა.

ვინმე უცხო განათლებული კაცი ჩვენს მდგომარეობას რომ კარგათ ჩაუკვირდეს, ასწონ-დასწონოს ის, რაც ჩვენში მომხდარა, და ახლაც ხდება, უსათუოდ მის განცვიფრებას და ჩვენდამი ზიზღს საზღვარი არ ექნებოდა.

ყოველს ადამიანს და ჯგუფს შეუძლია იამაყოს მხოლოდ კულტურული მოქმედებით და მაღალი ზნეობასთან დაკავშირებული საქმით და არა რაღაც უცნაური საქციელით, რომელიც შეგნებულ ადამიანში და ხალხის მოწინავე ნაწილში უსათუოდ ზიზღსა და დაცინვას გამოიწვევს...

ყველგან, სადაც სიცოცხლე არის, იქ ბრძოლაც არის. ბრძოლაა ყველაფრის მამაცა და მეფეც. მთელი ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა ჰქმნის ბრძოლას და ბრძოლა ანვითარებს თვით ცხოვრებას.

მაგრამ იმგვარი სახისა და ფორმის ბრძოლა, როგორმაც ჩვენში ფეხი მოიკიდა, არათუ განავითარებს ჩვენს ცხოვრებას, გააფართოვებს მსოფლმხედველობას, შექმნის ადამიანური მოვალეობის პრინციპს, მოქალაქობრიობას, არამედ იგი რყვნის და ახშობს გრძნობათა სიფაქიზეს, ამდაბლებს ზნეობას და აქარწყლებს ბრწყინვალე მომავლის იმედებს.

ჩვენი პრესა თითქმის გაირყვნა, ის ლანძღვის გოდრათ გადიქცა, რაც არა ერთხელ იყო აღნიშნული, როგორც სამწუხარო მოვლენა.

სიტყვა ხულიგანი, პროვოკატორი, შავრაზმელი, რეაქციონერი და სხვ ჩვეულებრივ და ადვილათ სახმარებელ ტერმინათ გადაიქცა. საკმარისია იდეური მოწინააღმდეგეთა შორის რამე კამათი ატყდეს, ეს სიტყვებიც დიდი რახა-რუხით იხსენიება, თითქოს არ გვესმოდეს მისი მნიშვნელობა, სად, ვიზე, რაზე და რა პირობებში შეიძლებოდეს მისი ხმარება. ჩვენში მოპირდაპირეთ ერთი მეორის გალანძღვა უფრო აინტერესებთ, ვიდრე თვით საკამათო საგანი...

პრესაში ამ ნაირმა ბრძოლამ და მისმა დაქვეითებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მის მკითხველებშიც პრაქტიკული გავლენა იქონია და ვხედავთ იმისთანა ამბებს, იმ გვარ საქციელთ, რაც არც ერთ ჯგუფისთვის და არავისთვის მოსაწონი არ არის.

ვინც ქვეყნისა და ხალხის მეთაურობას და მოწინავეობას სხვაზე უფრო ჩემულობს, ვინც თავის თავს განვითარებისა და გათვითცნობიერების გზის ერთადერთ მაჩვენებლათ აღიარებს, იმან ისიც უნდა იცოდეს, რომ მას ამისთანა მაღალ ღირსებათა მითვისებასთან ერთად ამ ღირსების დამამტკიცებელი და დამადასტურებელი მოქმედებაც თან უნდა სდევდეს და სულ სხვაგვარ გაკვეთილებს უნდა იძლეოდეს და არა იმისთანას, რომელსაც ჩვენი ცხოვრება პროგრესიულათ დაქვეითებისაკენ მიყავს.

ბ. ჯაიანი.

## ჩვენი პრესა.

ნათქვამია: „სხვისი გული წყვდიადიაო". იფიქრებდა ვინმე, რომ ენერგიით და ღიმილით შემკული სახე ალექსანდრე სარაჯიშვილისა პესიმიზმს მალავდა!

აი რასა სწერს ბ-ნი ალ. ყიფშიძე განსვენებულის შესახებ „კლდეში":

სამშობლო ისტორია, ცხადია, გვერდს ვერ აუხვევს განსვენებულ ალექსანდრე სარაჯიშვილის ღვაწლსა და მოქალაქობას. უეჭველია თავის დროზე იგივე ისტორია იმასაც გამოიძიებს და გაამუქებს, თუ რა გარემოებამ მიიყვანა ეს დარბაისელი ქართველი იმ უფსკრულამდი, რომელსაც პესიმიზმს უწოდებენ.

ახლო მეგობრებმა კარგათ ვუწყოდით, რომ ალ. სარაჯიშვილი დიდი, ღრმა პესიმისტი იყო. იქნება ბევრს ეუცხოვოს ასეთი დახასიათება განსვენებულისა, მაგრამ ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა.

ალექსანდრეს არა სწამდა ბრწყინვალე მომავალი საქართველოსი, არა სჯეროდა მისი აღდგენა მკვდრეთით, განახლება, გაფურჩქვნა. გული ჰქონდა მოშხამული ამ დაშლუპველის პესიმიზმით. მის ჩათხრობილს გულს, ლამაზ სახეს, გონიერ შუბლს და იერს არ ალხობდა ის ტკბილი ოცნება, რომელიც სამშობლოს მომავალს გარს დასტრიალებს, როგორც ფარვანა სანთელს. ბილწს აწმყოს თავისი სიბილწე მაშინ ეკარგება, თუ ადამიანი სავსეა ამ ტკბილის ოცნებით. გაამეფეთ მის ადგილზე პესიმიზმი, და მაშინ აუცილებელია ნამდვილი ტრაგიზმი.

აი სწორედ ასეთს ტრაგიზმს განიცდიდა განსვენებული ალექსანდრე.

მაშ რა ახალისებდა განსვენებულს, რა აძლევდა ძალასა და ღონეს სამოქმედოთ და სამოქალაქოდ? წარსულის სიყვარულის არ შემწყნარებელს დიდათ ჰქონდა შეწყნარებული სამშობლოს წარსული, უყვარდა იგი, იქ ჰპოვებდა შვებასა და ლხენას. მისი ფიქრი და გონება სწორეთ ამ წარსულს დასტრიალებდა და თავს ევლებოდა.

საოცარი ნაყოფი გამოიღო წარსულის ასეთმა ტრფიალმა. ალ. სარაჯიშვილის წყალობით დღეს ქართველ ერს აქვს საუცხოვო ეროვნული მუზეუმი. იგი დაიბადა ქაოსიდან, არარაობიდან. მოგეხსენებათ, რომ უსაღსრობა ჩვენში ყველაფერს უცარავს ხელს. ალექსანდრემ დასძლია ეს სენი, გადალახა ეს უძლეველი დაბრკოლება და გაჩნდა საღსარი.

ჩვენი ეროვნული მუზეუმი დღეს იმ დონეზეა დაყენებული, რომ თამამათ შეგვიძლია მითი ვიამაყოთ. იგი უკვე მიჩნეულია მეცნიერების ტაძრად. ბევრია ჯერ კიდევ გასაკეთებელი, მაგრამ რაც გაკეთდა ამ მცირე ჟამს, ისიც საკმარისია, რომ გაკეთებულის წინაშე მუხლი მოვიდრიკოთ და იმედიანად ვუცქიროთ მომავალს.

ეროვნულ მუზეუმის გაჩენაში და შემდეგ მის მოვლა-პატრონობაში, გამდიდრება-აყვავებაში ალ. სარაჯიშვილი მარტო არ იყო. ალექსანდრეს გარს ეხვია ღირსეული ამხანაგობა, აი თუნდ ე. ს. თაყაიშვილი, მაგრამ გულახდილათ უნდა ვაღვიაროთ, რომ ამ დიდის საქმის სულის ჩამდგმელათ განსვენებული იყო. იგია მიმრქმელი ემბაზიდან ქართულ ეროვნულის მუზეუმისა.

ნათქვამიდან ჩანს, თუ ვინ დაჰკარგა საქართველომ.

ჩვენ პირადათ გვრწამს, როგორც ბრწყინვალე მომავალი სამშობლოსი, აგრეთვე ისიც, რომ მუზეუმს გამოუჩნდება ალექსანდრესთანა მოსიყვარულე ძიძა, მისებრ დიდი მოამაგე, გულშემატკივარი და სიყვარულით აღფრთოვანებული ჭირისუფალი, მაგრამ გული მაინც ჰკვნესის, რომ ნორჩს და სათუთს დაწესებულებას უდროოთ მოაკლდა მოსიყვარულე ხელი ალექსანდრესი.

მაშ განისვენე სამშობლო მიწაში ტკბილათ და შვებით კარგო ქართველო, დაუვიწყარო ალექსანდრე.

## ევდოშვილის საღამო

### ქუთაისში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისის საზოგადოება გულმხურვალედ და ტკბილის გრძნობით შეეგება ავათმყოფ მგოსნის ევდოშვილის საღამოს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენ გვჯეროდა, და არც მოვტყუვდით, რომ უგვანო საქციელი ნოქრების წარმომადგენლებისა, რომელთაც ვითომდა მთელის ნოქრების სახელით ბოიკოტი გამოუცხადეს ამ საღამოს და ძალმომრეობა იხმარეს მგოსან ვ. რუხაძის მიმართ, საზოგადოების მხრივ დასჯილი შეიქნებოდა. მართლაც რა აზრი ჰქონდა ამ საისტორიო განცხადებას ნოქრების წარმომადგენლებისას? ნუთუ საზოგადოებამ არ უნდა იცოდეს რომ აქ ნოქრები, საერთოდ, არაფერ შუაში არ არიან. პირადად მე დაახლოებით ვიცნობ ნოქართა ცხოვრებას, ყველასთან ტკბილი, მეგობრული დამოკიდებულება მაქვს, და ვიცი რომ მათ შორის ამ საარაკო მოვლენის შესახებ არავითარი სჯა და გადაწყვეტილება არ ყოფილა. მთელი პასუხისმგებლობა ამ საისტორიო მოვლენისა, მხოლოდ ამ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, და მათ ახლო მდგომს რამდენიმე ერთ ფეროვან და ერთ აზროვან ტიპებს ეკუთნის, და ამ მოვლენასთან დანარჩენთ არავითარი კავშირი არ აქვო. თქვენ იკითხავთ, თუ რატომ არ ცდილობს ამ სირცხვილის მოწმენდას ნოქართა წრე, რატომ თვით იგინი არ დაჰგმობენ უტაქტიკო საქციელს მათის „წარმომადგენლებისას."?

ეს სხვა კითხვაა.

მართალია, იქ, სადაც მეტი სინათლე, მეტი თავისუფლება აზრისა და პატივისცემა სხვისი პირადობისა სუფევს, სადაც ინკვიზიტორული ძალდატანება არ მეფობს, იქ, ასეთი მოვლენა, უეჭველ დასაგმობი შეიქნებოდა თვით თავისივე წრეში, და თუ ეს დღეს საჯაროდ არ ხდება ჩვენში, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარ ინდივიდუალობას მოკლებული, თვითმოქმედებას წართმეული და დისციპლინის სარკად გამხდარი დღეს ნოქარი, ხვალ გათვითცნობიერებისა და გათვითაზროვნების შემდეგ ასევე მუნჯი დარჩება...

ჩვენ გვწამს დადგება ასეთი დრო. დრო, როდესაც ყოველი მოქალაქე, ნოქარი იქნება იგი თუ მუშა, თავის გულისთქმას, თავის მოქალაქობრივ სიტყვას იტყვის თავისუფლად, თამამად, უშიშრად, მოკლებული სხვის ბრძანებას და ძალდატანებას.

მხოლოდ ასეთ დროს შეგვიძლია ვუწოდოთ თავისუფლების ხანა, და ნურაფერს უკაცრავად ბ-ნნო „წარმომადგენელნო", რომ თქვენს საგმირო გამოსვლას ავადმყოფ მგოსნის საღამოს საბოიკოტოთ, არაფერი კავშირი არ აქვს არც თავისუფლებასთან და არც სამართლიანობასთან!..

მგოსნის საღამო მეტად შინაარსიანი და მრავალფეროვანი იყო. დაწვრილებით აღნიშვნას არ შევუდგებით. ევდოშვილი საზოგადოებამ დიდის აღფრთოვანებით მიიღო და მიესალმა მის გამომთქმელებას, ხოლო ბ-ნ კუპრაშვილის 6 წლის ქალიშვილმა მგოსანს ტკბილის ენითა და ლამაზი ლექსით დიდი ხნის სიცოცხლე უსურვა. ეს სცენა თავისი სილამაზით უმშვენიერესი იყო. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ბ-ნ კიტა აბაშიძის ლექციამ „საქართველოს მოღვაწეთა აზროვნების ევოლუცია 19-ე საუკუნეში.

ლამაზი იყო ბ-ნ ია ეკალაძის ნაწარმოები „ღსარება". დ. თომაშვილმა და ცვარ-ნამმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოები...

ვოდევილმა „არივ-დარიამ" —მხიარულად ჩაიარა ნემოს წყალობით...

საკონცერტო განყოფილებაც მშვენიერი გამოდგა.

დიდი ნაწილი საზოგადოებისა უადგილოდ დარჩენილი გულდაწყვეტილი ბრუნდებოდა თეატრის კარებიდან...

ჯავახ—ფაშა.

## ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში წელს სწავლა დაასრულა 28 ქალმა; აი მათი სია:

1) ნოზაძე მარიამი (ოქროს მედლით), 2) კინწურიშვილი სოფიო (ოქროს მედლით), 3) სიხარულიძე ნინო (ოქროს მედლით), 4) შანიძე ელენე (ვერცხლის მედლით), 5) ჯგუშია პრასკოვია, 6) გიორგობიანი დარია, 7) თათარიშვილი სოფიო, 8) თვალთვაძე მარიამი, 9) მაღლაკელიძე ოლღა, 10) მიხელიძე ქსენია, 11) შანიძე ლიდია, 12) შოთაძე ნინო, 13) მჭედლიძე ბარბალე, 14) ნემსაძე ალექსანდრა, 15) ბერეკაშვილი დარია, 16) ზედგენიძე მარიამი, 17) მეფარიძე სოფიო, 18) კუხიანიძე ქსენია, 19) ხუნდაძე ნინო. 20) ობოლაძე ოლღა, 21) ჩარკვიანი ლიუბოვ, 22) ბურჯანაძე ვერა, 23) ფერაძე ანნა, 24) მამფორია ლიუბოვ, 25) იაკობაშვილი მარიამი, 26) კანდელაკი მარიამი, 27) ქაჯაია თამარი და 28) შავგულიძე მიფადორა.

✦ კვირას, 8 ივნისს, ქუთაისის სადგურზე გაიარა ქვედა-დიმის ორკლასიანი სასწავლებლის ექსკურსიამ ტყიბულის მიდამოების დასათვალიერებლათ, 9-ს ექსკურსია, სულ 30 კაცი, ქუთაისს დაბრუნდა. დღეს ექსკურსია დაათვალიერებს ქუთაისის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალ ჯეჯილის მორიგი მე—5 ნუმერი. ჟურნალი ჩვეულებრივაა გამოცემული.

✦ გაზ. „აზრის" რედაქტორი ალ. ცერცვაძისა ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებიათ. მას სათავდებოთ 1000 მანეთი ფულათ მოთხოვეს.

მ ე ლ ი ტ ო ნ  გ ო გ ბ ე ჩ ი ა.

დედას შვილი [illegible]
წინამორბედ მერცხალივით [illegible]
გაიყინა გაზაფხულზე!..

—

მანდილ ახდილ დედის თვალწინ
დაიწვა და დაიფერფლა!
მას ემსხვერპლა, მას ემსხვერპლა!..

—

ტანჯულ ერის გულისთქმაო,
დედის დამწვარ ძუძუებთან
თავს დაგტირი მეცა, ძმაო!..

ღ. თომაშვილი.

✦ კვირას, 8 ივნისს, ქალაქის თეატრში გუბერნატორის განკარგულებით შესდგა მდაბიო მოქალაქეთა წლიური კრება. კრებას განსახილველი ჰქონდა სულ ოთხი საქმე: 1) მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა სამართველოს შესანახათ; 2) 1913 წლის ხარჯის განაწილება მოქალაქეთა შორის; 3) მამასახლისის არჩევა და 4) ხარჯის ამკრეფის არჩევა. ეს კრება მეოთხეთ იყო დანიშნული, მაგრამ სამწუხაროთ მაინც ცუდათ ჩაიარა. თავჯდომარის არჩევამ დიდი აურ-ზაური ასტეხა. შემდეგ აირჩიეს სიმონ ტულუში. შემდეგ ყუთი დაიდგეს სამამასახლისოთ. ბ.ბ. ძოძუაშვილმა, ვ. ბეჟანეიშვილმა, ფხაკაძემ, შათირიშვილმა, დათიაშვილმა და დ. ქებაძემ. კენჭის უმრავლესობით, არჩეული იქნა ბ-ნი ძოძუაშვილი.

✦ როგორც სოფლების მხარიდან გვატყობინებენ, ყანებს სამერმისოთ კარგი პირი უჩანს.

✦ ტაიგერის შესახვევის (ბალახვანის ქუჩა) მცხოვრებლებმა ამას წინათ ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანეს, რომ ხსენებული ქუჩა, რომელიც ძლიერ გაფუჭებული არის, შეკეთებულიყო. ამის გამო ქალაქის გამგეობამ თავის ტეხნიკოსი კიდეც გაგზავნა ხარჯთაღრიცხვის შესადგენათ. ტეხნიკოსმა ხარჯთაღრიცხვა კიდეც შეადგინა და ქალაქის გამგეობას წარუდგინა. ტაიგერის ქუჩის მცხოვრებლები ამ ხარჯის ერთ ნაწილს თავის-თავზე ღებულობენ.

✦ ამას წინათ ადმინისტრატიული წესით ასტრახანში გადასახლებულს სერგო ერისთავს მეფის მოადგილემ ნება მისცა დაბრუნდეს სამშობლოში.

✦ 7 ივნისს პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები 78 მანეთად და 10 შაურათ ფასობდა.

✦ სოფელ გორის (ქუთ. მაზრა) საზოგადოების 115 აზნაურს ამოურჩევიათ 8 რწმუნებული, რომელთაც მინდობილი აქვთ სთხოვონ გუბერნიის მარშალს, რათა უკანასკნელმა შუამდგომლობა გასწიოს საგუბერნიო დამშეულთა დამხმარე კომი-

## ქართული გიმნაზიის გადაკეთების აუცილებლობა.

რუსეთის ცნობილმა სოციოლოგმა პ. კროპოტკინმა ერთს თავის თხზულებაში მშვენიერად დაასაბუთა ცალმხრივი აღზრდის მავნებლობა და, პირიქით, მრავალმხრივი განვითარების საჭიროება და აუცილებლობა.

ყველა უდიდესი პედაგოგი ცალმხრივობასვე გმობდა და მრავალმხრივობას აღიარებდა ახალთაობის აღზრდის საქმეში.

თანამედროვე ფიზიოლოგია სავსებით იზიარებს ძველ ბერძენთა შეხედულებას,— ე. ი. ადამიანის სულისა და ტანის ჰარმონიული, შეთანხმებული განვითარების აუცილებლობას.

სისრულე—მრავალმხრივობა, ჰარმონია არის. ცალმხრივობა და დისჰარმონია კი —სიმახინჯეა.

რატომ აუშნოებს ტანს სიკოჭლე? მიტომ, რომ ამით ჰარმონია, ორგანოთა მიზანშეწონილი თანხმობაა დარღვეული. ამიტომ ამახინჯებს კაცს ტანის ყოველივე სხვა ნაკლიც.

სნეული კაცი ტანით უშნო, ულამაზოა, რადგან აკლია, როგორცა ვთქვით, ორგანოთა ის ჰარმონია, რომელიც შობს სიცოცხლის ძალას, მოქმედებისათვის საჭირო ენერგიას.

სნეული—ცოცხალმკვდარია. უსიცოცხლო, უენერგიო, უმოქმედოა და, მაშასადამე, უშნოა.

სიცოცხლე—ბრძოლაა. და მშვენიერება —სიცოცხლის ის ძლითი (პოტენციალური) ენერგია არის, რომელიც შობს ბრძოლისთვის საჭირო მოქმედებას. ð ფიზიოლოგიური ენერგია დაშრეტილია, როდესაც დასნეულებულია სხეულისთვის არსებითად საჭირო რომელიმე ორგანო.

როდესაც სნეული კუჭი და წელები ვეღარ ასრულებენ რიგიანად თავის დანიშნულებას, ე. ი. ვერ ინელებენ და ვერ ითვისებენ საჭმელს, ამას მოსდევს სისხლნაკლულობა და, მაშასადამე, მთელი სხეულის დაუძლურება და დასნეულება.

როდესაც ღვიძლი, ეს ნაწილი წელებისა, სნეულია, კლებულობს ერთი მხრით, საჭმლის მონელება, მეორე მხრით— შაქრის შეთვისება, მესამედ, სისხლის დაძველებული ნაწილების დაშლა-დანგრევის დასრულება და, მეოთხედ, მუცლის სისხლის ტრიალი. და თითოეული ხსენებული ფუნქციის შემცირება საკმაოა, რომ სხეული დასნეულდეს და ბოლოს კიდევაც მოკვდეს.

თირკმლებმა თუ სისხლი შარდედისა და სხვა მავნებელი ნაწილებისაგან არ გასწმინდეს, სხეული მალე მოიწამლება.

გულმა თუ მწყობრად, ჰარმონიულად არ იმუშავა და სისხლი ჯეროვანად არ დაატრიალა, ამის შედეგიც მთელი სხეულის დასნეულება იქნება.

როდესაც ნერვები დასნეულებული არიან, —სნეული არიან ის ორგანოებიც რომელთაც ისინი ასაზრდოებენ. ვერც ერთი ორგანო ვერცერთს თავის დანიშნულებას ვერ აასრულებს უნერვებოდ. პირის ჯირკვლები ნერწყვს, კუჭი და წელები თავის წვნებს— ნერვების შუამავლობით გამოადენენ. გულიც ნერვების შუამავლობით მოძრაობს. კუჭი, წელები, სისხლის მილები და ყოველი კუნთი—ნერვებისავე შუამავლობით მოძრაობენ.

თვით ნერვების ერთი სისტემის დასნეულებას მოსდევს ნერვების სხვა სისტემის დასნეულებაც. გულის ადგილობრივი ნერვიული სისტემის დასნეულება შობს თავისა და ხირხიმლის ტვინის ნერვების დასნეულებას და, პირიქით, თავისა და ხირხიმლის ტვინის დასნეულება შობს მთელი ნერვიული სისტემის დასნეულებას. კუჭისა და წელების ადგილობრივს ნერვიულ სისტემასა, სისხლის მილების ადგილობრივს ნერვიულსა, მუსკულებისა და ცენტრალურს, ე. ი. თავისა და ხირხიმლის, ნერვიულ სისტემას—მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან.

თვით მუსკულების მოძრაობას, მათს მუდმივ შევიწროებასა და გამართვას, დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის თანაბარი მოძრაობისათვის და, მაშასადამე, ნივთიერებათა ფიზიოლოგიური მიმოცვლისთვის. კაცის სხეული ერთი მხრით ანთებულ ბუხარს მოგვაგონებს: როგორც ბუხარში, აგრეთვე სხეულში იწვის დაგროვებული საწვავი მასალა. სხეულში შეშის დანიშნულებას—ცილი, ქონი და სახამებელი ასრულებენ. მაშასადამე, ცილი, ქონი და სახამებელი იწვიან და შობენ სითბოს. და, ცხადია, რაც უფრო მუშაობენ კუნთები, მით მეტი იწვის ეს საგზალი, რადგან ამ დროს სხეულისათვის საჭიროა ზედმეტი სითბო, რომელიც კუნთების მექანიკურ მოძრაობად უნდა გარდაიქმნეს.

რა მნიშვნელობა აქვს სხეულისთვის იმას, როდესაც ნივთიერებათა მიმოცვლა ძლიერდება, ე. ი. როდესაც უფრო იწვის შინაგანი მასაზრდოებელი საგზალი? ის, რომ ამ დროს კაცს ჭამის მადა ემატება, ე. ი. ბევრსა სჭამს და იმავე დროს კარგადაც ინელებს. ამის შედეგი კი— სისხლის განოყიერებაა.

მაშასადამე, კუნთების მუშაობა უმატებს კაცს სისხლს ისე, როგორც, მაგალითად, ცივი ვანები, გრილი ჰაერი და სხ., რადგან თითეოულ უკანასკნელ შემთხვევაშიაც მიტომ ძლიერდება ჭამის მადა, სხეული რომ წყლისა და ჰაერის სიგრილისაგან ბევრ სითბოს ჰკარგავს, დანაკარგი სითბო კი შეუძლია აანაზღაუროს სხეულს მხოლოდ ზედმეტი საჭმლისაგან.

აქიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს. ახალთაობის აღზრდა უნდა ემყარებოდეს, როგორც გონებრივსა, აგრეთვე ფიზიკურ ვარჯიშობას.

გონებრივს ფიზიკური მუშაობა უნდა სცვლიდეს, რომ სხეულმა სისხლი შეიმატოს და თირკმლებისა, ფილტვისა, კანისა და სხ. შუამავლობით მავნებელ ნივთიერებათაგან გასწმინდოს, გაათავისუფლოს.

ფიზიკური მუშაობა აგრეთვე ნერვებს ამშვიდებს, ხასიათს აღონიერებს და ზნეობას იცავს.

მაშასადამე, ქართული გიმნაზიის რეფორმა უპირველესად ამ მხრისკენ უნდა იქნეს მიმართული, ე. ი. აუცილებლად უნდა იქნეს შემოღებული მუშაობა ბაღსა და სახელოსნოებში.

მეორე მხრით, საჭიროა სხვადასხვაობა, დიფერენციაცია, თვით სწავლაში.

როდესაც ყველა მოსწავლე, ნიჭიერი და ნაკლებად ნიჭიერი, ისიც, რომელსაც ლიტერატურისა და ენების სწავლა ეხალისება, და ისიც, ვისთვისაც ამ საგნების სწავლა მხოლოდ ტანჯვაა, ერთ კლასში არიან ჩაყენებული, ეს სულ უბრალო პედაგოგიური მოთხოვნილების უარყოფაა.

მოსწავლე მხოლოდ იმას სწავლობს კარგად, რაც უყვარს და ეადვილება. ძალით სწავლა, როგორც ძალით სიყვარული, არ შეიძლება.

რა დასაფიცავია! კლასიკური გიმნაზიის საგნების სწავლისათვის მოსწავლეთა უმეტესობას გული არ ერჩის. დიდი ჭაპანწყვეტითა და ვაი ვაგლახით ძლივს მიაღწევენ მერვე კლასს, მერე კი დასასრულებელ ეგზამენებს ვეღარ ჩააბარებენ ხოლმე. და აუარებელი შრომა და ენერგია იკარგება უნაყოფოდ!

ამგვარად მოსწავლეთა უმეტესობას გიმნაზია კი არ აბედნიერებს, არამედ, პირიქით, სჯის. და განა ეს არის ჩვენი მიზანი?!

ამიტომ არის აუცილებელი სწავლის დიფერენციაცია.

ვიდრე ოთხ კლასს დაასრულებდენ, ერთად ისწავლონ. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეები შეიძენენ იმ ზოგად განათლებას, რომელიც საფუძვლად დაედება შემდეგს სპეციალურ სწავლას.

ვისაც კი განსაკუთრებული თეორეტიული ნიჭი შეეჩნევა, მან კლასსიკურ განყოფილებაში უნდა განაგრძოს სწავლა. დანარჩენები კი სამეურნეო განყოფილებაში უნდა გადავიდენ.

ამგვარ განაწილებას, გაცხრილვას, დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა ექნება.

დამტკიცებულია, რომ, როდესაც ერთად სწავლობენ ღონიერი და სუსტი მოსწავლენი, უკანასკნელნი ხელს უშლიან პირველთ. „მეც წავხდი, შენც წაგახდინეო", ტყვილა არ არის ნათქვამი. და, ცხადია, დიდი წარმატებით ისწავლიან მეხუთე კლასიდან მოსწავლენი,

...ტთან, რომ მიეცეს მათ სესხათ სიმინდის სასყიდლათ 5000—8000 მანეთამდი და ასეთივე თხოვნით მიმართავენ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის გამგეობას რათა მიეცეს მათ დახმარება ბანკის იმ ძირითადი თანხიდან, რომელიც შეადგენს 217,000 მანეთს და უნდა დაურიგდეს თავად-აზნაურობას. ბანკისაგან თხოულობენ 8000 მანეთს სამი წლის ვადით. თხოვნაში აღნიშნულია, რომ ისინი დიდ გაჭივრებას განიცდიან. სიმინდი ადგილობრივ არავის არ გააჩნია, და ვისაც აქვს, ფუთს 8 აბაზ ნაკლებ არ ყიდის. საჭიროა მათ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება ექნეს მიქცეული.

✦ ამ კვირაში შესდგება კომერციული ცოდნის გამავრცელებელი ქუთაისის საზოგადოების კრება. კრებამ უნდა გადასწყვიტოს, თუ სად უნდა აშენდეს მომავალი კომერციული სასწავლებლის შენობა. ამ კრებაზე აგრეთვე მიწვეული იქნება ბალახვანის ქუჩის მცხოვრებლების არჩეული რწმუნებული.

✦ გუშინ საგუბერნიო სამართველოში შესდგა ქუთაისის გუბერნიის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის კრება. კრებამ უნდა გაანაწილოს დამატებით სიებში შეტანილ გლეხებზე დასარიგებელი სიმინდი.

✦ ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ თფილისის სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე დასასწრებლათ გაგზავნა გამგეობის წევრი ბ-ნი ალ. კრინიცკი.

✦ ქუთაისის ბაზარზე ამჟამად სოფლებიდან დიდძალი ხილი მოდის, უმეტესად კი ოკრიბის კუთხიდან. იქაური გლეხები, ხილის ფასით სიმინდს ყიდულობენ და 25 ვერსის მანძილზე ზურგით ეზიდებიან.

✦ დღეს საღამოს, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია დრ. საზოგადოების სხდომა, მომავალი სეზონისათვის დასის შესახებ. მომავალ სეზონში რეჟისორათ, როგორც გადაუწყვეტიათ, შალიკაშვილი იქნება, რომელმაც დასი თვითონ უნდა შეადგინოს.

✦ ქუთაისში უკვე შესდგა კომისია, რომელმაც მორიგობითი თვალყური უნდა ადევნოს საზოგადო სასწორზე, აბრეშუმის პარკის წონას. კომისიაში შედიან: ი. ბახტაძე, ვ. სალუკვაძე, მესხი და პ. მეფარიშვილი.

✦ 13 ივნის, ოლქის სასამართლოში გაირჩევა: ნესტორ წულაიას, ანდრონიკა ძველაიასი და ნესტორ ●უნდუას საქმე.

✦ რედაქციამ მიიღო ჯეჯილის მორიგი ნუმერი.

✦ შაბათს, 7 ივნის, გუბერნიის წინამძღოლს მოლაპარაკება ჰქონდა, თუ რა გზით დაეკმაყოფილებია ს. გორის საზოგადოების აზნაურობის თხოვნა. მან მაზრის მარშლის საშუალებით მაზრის უფროსს აცნობა, რომ მხარი დაუჭიროს ამ საკითხს საგუბერნიო დამხმარე კომიტეტის კრებაზე.

### მოწერილი ამბავი.

დ. ბაღდადი. ეგზამენები საქალებო სასწავლებელში უკვე დასრულდა 5 ამ თვეს. ეგზამენებმა კარგათ ჩაიარა, მოწაფეები საუკეთესოთ იყვნენ მომზადებული, როგორც ქართულში, ისე რუსულში და სხვა საგნებში, მასთან მშვენიერათ არის დაყენებული სახელოსნო განყოფილება ქ. ბ. საკოლოვსკის მეოხებით. დასასრულ ეგზამენებისა, გამართეს სალიტერატურო საღამო და მასთან რამდენიმე სცენები გვიჩვენეს, ხალხის ცხოვრებიდან რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა—მთელი საზოგადოება. ხალხი ბევრი დაესწრო.

დიდი მადლობის ღირსნი არიან, ქ-ნი ნინა ნადირაძე, ვერა საკოლოვსკისა და ნინა კვირკაძე.

## სოფლათ

კორბოულიდან გვწერენ, რომ ხალხი, შიმშილობის გამო, დიდ გაჭივრებას განიცდისო. მართალია ერთმა ნაწილმა საზოგადოებისამ მიიღო სესხათ სიმინდი, მაგრამ მეორე ნაწილმა, რომელსაც სიმინდის სესხის გადახდა ფულათ სურდა, ჯერაც ვერაფერი მიიღო, და მოსალოდნელია, სულაც ვერ მიიღებსო. დამშეულმა ხალხმა მრავლათ მოიყარა თავი სოფლის კანცელარიასთან, ამოირჩიეს ღვდ. ვლად. მაჭარაშვილი და დაავალეს იშუამდგომლოს საგუბერნიო კომიტეტთან დახმარების შესახებ. იმედია, საგუბერნიო კომიტეტი ამ შუამდგომლობას ყურადღებას მიაქცევს და დამშეულ ხალხს დახმარებას აღმოუჩენს.

ამავე მდგომარეობაშია ლიჩის საზოგადოებაც.

ს. რცხილათი (ზემო იმერეთი). უპატრონოთ დარჩენილი ხალხი შიმშილობით სულს ღაფავს. მშველელი არავინაა. რამდენიმე თვის წინათ მამასახლისმა წარადგინა მარტო ათიოდე გლეხი, რომელთაც, მართლაც, მიიღეს დახმარება. უმრავლესობა კი ღვთისანაბარა დარჩა. მაისის დამლევს ხალხმა, შიმშილისაგან შეწუხებულმა, მოიყარა თავი და სთხოვა ადგილობრივ ღვდელს თხოვნის დაწერა და შუამდგომლობა მაზრის უფროსთან დახმარების შესახებ. თხოვნაზე საჭირო იყო მამასახლისის ბეჭდის დასმა. რადგან მამასახლისი ამ ჟამათ აქ არ იყო, მიმართეს მის თანაშემწეს, მაგრამ მან, ვიდრე ჯილდოს ორმანეთს არ მომცემთ, არ შევამოწმო—უპასუხა. ბოლოს ხალხი დაპირდა, და როცა ბეჭედი დაარტყა, ორის მაგიერ, 1 მანეთი მისცეს. გაბრაზებული მოტყუებით თანაშემწე, მეორე დღეს, წვრიმალი ხარჯის აკრეფას იასაულების დახმარებით შეუდგა, და თანაც თავისი ფულის გასანაღდებლათ ორი კაპიკი ზედმეტი ვადაახდევია ხალხს. ამგვარი არა ნორმალური მოვლენა ამ სოფელში ხშირია. სწორეთ ამ სოფელზე ითქმის: „სოფელი ვნახე“.... სასურველია ასეთ მოვლენებს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს, ვისგანაც ჯერ არს.

დროა, თვით რცხილეთლებმაც შეიგნონ და დროიდ შკოლა დაიარსონ, რათა მათმა შვილებმა ცოტა რამ მაინც შეიგნონ და საწყალ ფურათ არ გახდენ, როგორც თვით არიან დღეს.

## თფილისი

კვირას, 8 ივნისს, შუადღისას ქართ. თეატრში გაიხსნა ქართ. სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა. საპატიო თავჯდომარეთ აირჩიეს აკაკი. თავჯდომარეთ აირჩიეს გ. ლასხიშვილი, აგრეთვე თავჯდომარის 4 ამხანაგი: იოსებ ბარათაშვილი, ალ. კრინიცკი, ვლ. მესხიშვილი, კიტა აბაშიძე; მდივნებათ: შალვა დადიანი, ს. ჭანტურიშვილი. ი. იმედაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, და ს. რომანიშვილი. კრებას მიესალმენ დრამ. საზ. თავჯდომარე ნიკ. ერისთავი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი არჩ. ავალიშვილი, ი. იმედაშვილი („თ. და ცხ.“) ალ. შანშიაშვილი („სახ. გაზ.“), პლ. ლეჟავა და ის. ვარაზაშვილი (ქიათურის დრ. საზ. და წრე), დ. დუმბაძე („ზაკ. რ.“), დ. არაყიშვილი, (მოსკოვის ქართვ. საზ.) ხარკოვის სტუდენტების წარმომადგენელი, ს. ტარუაშვილი (საგარეჯოს დრ. წრე), კიტა აბაშიძე, მოვიდა ბევრი დეპეშა. ყრილობაში 100 მეტი წევრი ღებულობს მონაწილეობას.

— სოფ. ვაშლოვანში ვაჭარმა სუმბათ სტეფანეს-ძემ ტერ-არაქელოვმა სომხის საქველმოქმედო საზოგადოებას შესწირა სოფ. ვაშლოვანში (თბილ. მაზრა) თავის მამული რათა ეკენისთვეშივე გაიხსნას სომხის სკოლა. ამავე საქმეს შეჰპირდა კიდევ 300 მანეთის წლიურ დახმარებას. სკოლას ექნება სამეურნეო განყოფილებაც.

— 4 ივნისს გეოგრაფიულ საზოგადოებაში ცნობილმა კავკასიის მცოდნემ კარლეგანმა წაიკითხა მოხსენება თავის მოგზაურობაზე ჩრდილოეთ ოსეთში. სხვათაშორის, მოიხსენია სოფ. ზარომაგი, რომელიც 50 ვერსის მანძილზეა ალაგირიდან და მდებარეობს სამხედრო ოსეთის გზაზე. ეს გზა ხომ გაყვანილია ქუთაისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელად მამისონის უღელტეხილით. ბ. განმა სთქვა, რომ სოფ. ზარომაგში დაცულია მრავალი ძველი ნაშთიო, მაგ., ხალხის გარდმოცემით, იქ დაკრძალულია ქართველი ბატონიშვილი გიორგი. მართლაც, იქ არსებობს საფლავი, რომელსაც აფარია ქვა ქართული წარწერით. სასურველია, ჩვენმა საისტორიო საზოგადოებამ მიაქციოს ამ ზაფხულშივე ამ ამბის გამორკვევას ჯეროვანი ყურადღება.

## უმაღლესი კურსები ლესგაფტისა ქ. პეტერბურგში.

28 ნოემბერს 1909 წ. გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი პეტრე ფრანცის ძე ლესგაფტი და მხოლოდ ახლა მოახერხეს მისმა მოწაფეებმა და თანამშრომლებმა მოაწყონ მისი სახელის, იდეებისა და მოძღვრების შესაფერისი კურსები. ის, რაზედაც ოცნებობდა ლესგაფტი, რაც იყო საფუძველი მისი პედაგოგიური მსოფლ-მხედველობისა—ყოველივე შედის კურსების სამოსწავლო გეგმაში კურსებისა, რომელსაც 1914 წ./915 წ. პირველათ დაასრულებენ მსმენელი ქალები.

ამ კურსებს აქვს თავისი განსაკუთრებული ფიზიონომია, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა უმაღლეს სასწავლებლებისაგან. კურსების ხელმძღვანელთა უპირველესი მიზანი არის შექმნან ადამიანი, ამ სიტყვის იმ ფართო მნიშვნელობით, როგორც ესმოდა ეს თვით ლესგაფტს. ამ მიზნით დაარსებულ იქნა ორწლიანი ფილოსოფიური ანუ ძირითადი (ОСНОВНОЙ') ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტზე საბუნებისმეტყველო (ანატომია, ფიზიოლოგია, ქიმია და სხ.) საგნებთან ერთად გადიან პოლიტიკურ ეკონომიას, სოციოლოგიას, სახელმწიფო უფლებას და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებას. მაგრამ კაცმა, რომ თავისი ძალა ცხოვრებას მოახმაროს, საჭიროა შესაფერი სპეციალიზაცია. ამიტომ ფილოსოფიის ფაკულტეტის მსმენელნი გადიან სპეციალურ განყოფილებებში. ეს უკანასკნელი სამია: საბუნებისმეტყველო, ისტორიული და ფიზიკური განათლების განყოფილება. სპეციალურ განყოფილებათა პროგრამა შეეფერება სახელმწიფო გამომცდელ კომისიათა მოთხოვნილებებს. მაგრამ ამით არ განისაზღვრება სპეციალურ განყოფილებათა როლი: იმ მსმენელთ, რომელნიც მოისურვებენ შეისწავლონ ზოოლოგია, ბოტანიკა და სხ. საშუალება ეძლევათ ლესგაფტის ბიოლოგიურ ლაბორატორიაში იმუშაონ. ფიზიკური განყოფილება დაარსეს ლესგაფტის მოწაფეებმა მის პატივსაცემათ. ლესგაფტისს ნაწერებში გატარებულია ის აზრი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ აღზრდას, რომელიც არ უნდა იყოს ფელდფებელის და უნტერ-ოფიცრების ხელში, არამედ განათლებულ პედაგოგებისა. ამ განყოფილების მიზანი არის მოგვცეს ასეთი პედაგოგები. ამ განყოფილებაში გადიან წმინდა ფიზიკურ საგნებს გარდა, ანატომიას, პედაგოგიკის მეტოდიკას და სხ. მომავალ გაზაფხულზე პირველათ დაასრულებენ კურსებს მსმენელი ქალები, რაც მოწმობს იმას, რომ ლესგაფტის მიერ დაწყებული საქმე არ მოკვდება და რომ მისი იდეები გახდებიან თვით ცხოვრების საკუთრებათ.

## რუსეთი.

### დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

8 ივნისი.

ხარკოვი. სეტყვამ და ძლიერმა წვიმამ დიდი ზარალი მიაყენა ზმიევსკისა და ხარკოვის მაზრებს.

ქალაქზე საშინელმა ქარიშხალმა გადმოიარა, მას მოყვა წვიმა. ქარიშხალის დროს ავიატორი შპიცბერგი 500 მეტრის სიმაღლეზე ფრენდა, იგი ძირს უვნებლათ დაეშვა. ქალაქში სარდაფები წყალით აივსო.

ნეზლობნაია (თერგის ოლ.). დიდძალი წვიმების გამო, მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდა და ახლო მდებარე ადგილები მთლად წალეკა. ზარალი ძლიერ დიდია.

სევასტოპოლი. ფრენის დროს ქარიშხალმა გადააბრუნა აპარატი, რომელზეც ფრენდა ავიატორი ბრჟეზკოვსკი. დიდი ვაივაგლახს შემდეგ იგი ძირს დაეშვა და უვნებლათ გადარჩა.

პეტერბურგი. მებაღობის საერთაშორისო გამოფენაზე დაიწვა მიწის მომწყობი უმთავრესი სამართველოს პავილიონი.

ვარშავა. ექიმებმა შეამოწმეს, რომ ბისპინგს აქვს ჭკუის ავათმყოფობა, პალატამ იგი გაანთავისუფლა 100,000 მან. თავდებით.

მოსკოვი. რკინის გზის ახალ სადგურს საძირკველი ჩაუყარეს.

ნოვოჩერკასკი. გაიხსნა ... სახალხო შკოლებთა ინსპეკტორების კრება.

რიაზანი. ერთი კვირის განმავლობაში დაიხურა 49 მაგარი სასმელების სავაჭრო.

კიევი. პორუჩიკი მალიშევი ნეჟინს გაფრინდა 4 საათ. და ისევ უკან დაბრუნდა. შტაბსკაპიტანი მაკაროვი დილას აქიდან გაფრინდა და ვინიცაში დაეშვა ძირს.

9 ივნისი.

მინსკი. სამაზრო ქალაქებში თათბირი მოხდა ლოთობასთან ბრძოლის შესახებ. საჭიროთ იქნა ცნობილი დაეხმაროს მთავრობას ამ საქმეში საერობო, საქალაქო, და საგლეხო დაწესებულებები, შემცირდეს სასმელების სავაჭროთა რიცხვი, ამოირჩიონ სოფლათ მზრუნველები, რომელთა მოვალეობაც იქნება ლოთობასთან ბრძოლა, არაყის საიდუმლოთ გაყიდვის თვალყურის დევნება და სხ.

ანანიევი. სოფ. ბოიარკში დაიჭირეს ცნობილი ყაჩაღი პრიიმაკი. დარაჯებს და პრიიმაკს, რომელიც ქოხში დაიმალა და კარები ჩაიკეტა, სროლა მოხდა, რომელმაც 9 საათს გასტანა. ორი დარაჯი, ერთი გამვლელი ქალი და თვით ყაჩაღი პრიიმაკი დაჭრილი არიან.

## უცხოეთი.

### დეპეშები.

8 ივნისი.

სტამბოლი. დიდ სახელმწიფოთა ელჩებმა დაადგინეს—გააგზავნონ დრაგომანები თალაათბეისთან, რათა დაწვრილებითი ცნობები გაიგონ მცირე აზიაში ბერძენთა დევნის შესახებ.

პარიზი. ანრი როტშილდს, როცა იგი ბულვარში მიდიოდა ვიღაც უცნობმა ორჯერ ესროლა რევოლვერი და სუბუქად დასჭრა გვერდში. ბოროტგამზრახველს ჯოხით სცემეს, დაატუსაღეს. როცა ვინაობა ჰკითხეს, მან განაცხადა, რომ იგი რძით ვაჭრობს.

დურაცო. იმ ცდამ, რომ შეთანხმება მომხდარიყო აჯანყებულთა და ვიდის შორის, უნაყოფოთ ჩაიარა.

სტამბოლი. მინისტრმა აცნობა პატრიარხატს პასუხი, ამ უკანასკნელის მიერ გამოთქმულ სურვილების გამო, ვიდრე ეკლესიებს დახურავდენ. პატრიარხატი არ ამჟღავნებს ამ პასუხს.

ბრუსის გუბერნატორი დეპეშით იტყობინება: 6000 ბერძენი დაუბრუნდა თავის მიწას და სახლებს.

თალაათ-ბეიმ დაატუსაღა მცარცველნი. წანართმევი საქონელი პატრონებს დაუბრუნეს.

დურაცო. ღამით და აგრეთვე დილით სროლა იყო ორივე მხრიდან. სროლა იყო აგრეთვე საღამოსაც. ბაირამდუკლანმა ცნობა მოიტანა, რომ დურაცოს მახლობლათ იმყოფება პრენკბიბდოდა 2000 ამირიდიტებით, რომელსაც შეუძლია მალე გაილაშქროს აჯანყებულთა წინააღმდეგ. აჯანყებულთ აქვთ 4 მილიონი თოფისტყვია, საღამოს კოსოვიდან მოვიდა 80 კაცი, კიდევ უნდა მოვიდეს რამდენიმე ასი.

ბატავია. ბრიტონის ახალი გვინეის ჩრდილოეთით კუნძულებზე ქარიშხალმა, მიწისძვრამ და წყალდიდობამ სახლები დაანგრია, არის აუარებელი ადამიანის სხვერპლიც.

ბერლინი. აქ ცნობა მოვიდა, რომ პორტამ დაავალა თავის ელჩს ათინაში აცნობოს საბერძნეთის მთავრობას, რომ ოსმალეთის მთავრობა საბერძნეთში გაქცეულ ბერძნებს ნებას აძლევს დაბრუნდენ ოსმალეთში, სადაც მათ უზღავენ ზარალს.

პარიზი. მოვიდა რუს მოწაფეთა ექსკურსია. სენატმა ერთხმათ მიიღო სესხის კანონპროექტი.

ვენა. დილის რვა საათზე სამხედრო აეროსტატი, რომელშიც ისხდენ: კაპიტანი, პორუჩიკი, კაპრალი ინჟინერი და ეფრეიტორი—აფრინდა ჰაერში, რათა იქიდან გადაეღო ფოტოგრამმეტრიული სურათები. აფრინდა აგრეთვე აეროპლანიც. ჰაერში იგინი ერთმანეთს დაეჯახენ. აეროსტატზე აფეთქება მოხდა და იმ წამსვე ცეცხლი გაჩნდა. აეროსტატი და აეროპლანი ორივე ძირს დაეშვა. ყველა შიგ მყოფთა დამწვარი და საშინლად დასახიჩრებული გვამები ნახეს.

ლონდონი. ასკვიტმა მიიღო დეპუტაცია 7 სუფრაჟისტ ქალისგან შემდგარი, რო-

---

რომელთა შორისაც აღარავინ იქნება უნიჭო, ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი.

დღეს კი ასში 20°/0 ვერ მიდის მერვე კლასამდის და მათ შორისაც კი, ვინც კურსს ასრულებს, ნახევარი იჭრება სატტესტატო გამოცდის დროს. უატესტატოდ კი რაღაშია გამოსადეგი ის, ვისაც გიმნაზიის კურსი გაუვლია?! ხომ არაფერი ცოდნა არ მოეპოვება ისეთი, პრაკტიკულ ცხოვრებაში რომ გამოადგეს! დიაღ, 12 წლის შრომა და ჰაპანწყვეტა დაკარგულია, როგორც მისთვის, აგრეთვე მისი მშობლებისა და მამულისათვის.

ტყვილა იღუპება აუარებელი ხარჯი და ენერგია!

ამიტომ ხსენებული გაცხრილვა, გადარჩევა, განაწილება მოსწავლეთა მათი ნიჭისა და უნარის შესაფერად თავიდან აგვაშორებს ამ უსარგებლო, უნაყოფო ხარჯს. და, რაც კი აღზრდის საქმეზე დაიხარჯება, ეკონომიურად, ნაყოფიერად იქნება მოხმარებული.

ჩვენებრ ღარიბი ერისათვის აუცილებელია ამგვარი ეკონომია: ჩვენი მცირე შეძლების არა ეკონომიურად, უნაყოფოდ ფლანგვა-უგუნურობაა.

სამეურნეო განყოფილება მისთვისაც სასარგებლო იქნება, ვინც კლასიკურში დარჩება. გიმნაზიაში თეორია, განყენებული სწავლაა და მოსწავლეებმა სრულიად არა იციან რა პრაკტიკული ცხოვრებისა. გიმნაზიელი გადაჩვეულია მუშაობას, მისი მუსკულები მოდუნებულია, სხეული ზანტი, სისხლი მოწამლული და ღარიბი სასარგებლო ნივთიერებით. ის ასკეტია, რადგან მისი ხორცი ცოცხალ-მკვდარია. ამიტომ მას, ყმაწვილს, ახალგაზდური სიხალისე და ენერგია აკლია. ის უდროოდ დაბერებულია. ის ჭაბუკის მხიარულებას, წარმოშობილს მჩქეფარე სიცოცხლის მოჭარბებული ენერგიისაგან. ვერ განიცდის. დამწარებული, მოწამლული აქვს სიცოცხლის საუკეთესო დრო—სიყმაწვილე. და, გიმნაზიელებს რომ თავიდან ავაშოროთ მათი ჯანმთელობის მომაკვდინებელი უმოქმედო ცხოვრება, არათუ უფლება უნდა მივანიჭოთ, არამედ უნდა დავავალოთ, სამეურნეო განყოფილებაში იმუშაონ უქმეების დროს მაინც.

და ამგვარი მუშაობა იმავე დროს სასარგებლო იქნება მათთვის, როგორც მოქალაქეთათვის. ვისაც ფიზიკური მუშაობის უნარი არ მოეპოვება და არცერთი ხელობა არ იცის, ის ნახევარი კაცია. მრავალმხრივი განვითარება აუცილებელია პრაკტიკულ ცხოვრებაში.

სამეურნეო განყოფილებამ უნდა მიანიჭოს მოსწავლეთ დასრულებული ცოდნა. ვინც მის კურსს გაიარს, უნდა შეეძლოს დამოუკიდებელი მეურნის მოვალეობის ასრულება.

ვინც მოისურვებს უმაღლესი სამეურნეო ან ტეხნიკური განათლების შეძენას, მას გზა ხსნილი ექნება ევროპაში. აქ კურსდასრულებულს უფლება ექნება განაგრძოს სწავლა ევროპის უმაღლეს სამეურნეოსა და სატეხნიკო სასწავლებლებში. და, დღეს რომ ჩვენ უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი მეურნეები, ქიმიკოსები და სხ. არა გვყავს, მაშინ ამ მხრით უზრუნველყოფილი ვიქნებით. ცხადია, ეს ხელს შეუწყობს მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას.

აგერ ჭიათურაში ერთი რიგიანი ქიმიური ლაბორატორია არ არის.

ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში არაფერი არა მზადდება: არც შუშა, არც საპონი, არც შაქარი, არც ფერომანგანეუმი და არც არაფერი სხვა, თუმცა ბუნებრივი პირობანი ხელს უწყობენ ყოველგვარი სამრეწველო დარგის აღორძინებასა და განვითარებას. ტყვილა ჰგონიათ, ვითომ მრეწველობის განვითარების მთავარი ფაკტორი—მკვდარი კაპიტალი, თანხაა: პირიქით, ამ ფაკტორად უმთავრესად ცოდნა უნდა ჩაითვალოს, რომელიც, სამწუხაროდ, გვაკლია. ბევრი გვყავს გამომძიებელი, მოსამართლე, ვექილი და სხ., ხოლო ცოტაა მეურნე, ტეხნიკი და ხელოსანი. ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი აქ არის!

როდესაც საშუალება გვექნება, შეგვიძლია მივუმატოთ კიდევ ტეხნიკური განყოფილებაც. მაშინ ხომ პატარა პოლიტეხნიკუმი გვექნება!

საჭიროა აგრეთვე ხსენებული ტიპის ქალთა შკოლა. არაფერი საქმე არ გაკეთდება, თუ ქალი კაცს მხარში არ უდგია. თვარა, მამაკაცი რომ ოფლის ღვრით მუშაობდეს და ქალი დროს გატარებას გადაყვეს, ეკონომიური წარმატება შეუძლებელი იქნება.

გავიმეორებ: საჭიროა, რაც შეიძლება, უფრო ეკონომიურად და ნაყოფიერად მოვიხმაროთ ჩვენი შრომა და ქონება. მცირეოდენი წვლილიც კი ამ ხარჯისა და შრომისა უსარგებლოდ არ უნდა გაიფლანგოს. მოსწავლის არცერთი წლის მეცადინეობამ უნაყოფოდ არ უნდა ჩაიაროს. მხოლოდ მაშინ გვეყოლება მშრომელი, მხნე და ცხოვრებისათვის მომზადებული თაობა.

ვ. წერეთელი.

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის შვილების** ქუთაისში.

მეჯანახეთა საყურადღებოდ. მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის

**ძლიერ ზომიერ ფასად** ნამდვილი ინგლისური **მაზუთი,** გოგირდის ფხვნილი, ქაჯმენის სითხე...

მაზაბნის სითხით ვენახების საქიმო **მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.**

მანქანების ყოველგვარი რეზინები და სხვა მოწყობილობა.

დეკორ. ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი სოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

დეკორ. ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

# ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთისსამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

მელნიც მუშათა კლასს ეკუთნიან და განაცხადა, რომ მან ისინი იმიტომ მიიღო, რომ თავშეკავებულნი არიან და არასოდეს ბოროტმოქმედებას არ სჩადიანო და სხ.

რეჯსიმი. დენში კედპეტის საგრაფოში გადაიწვა რკინის გზის სადგური. ეჭვი სუფრაჟისტებზე მიიტანეს.

9 ივნისი.

დურაცო. 6 ივნისს, ღამით, ქალაქში ვიღაც უცნობებმა სროლა ასტეხეს. შემდეგ მოწინავე პოზიციებშიც ასტყდა სროლა. ნახევარი საათის შემდეგ სროლა შესწყდა. ამბობენ, რომ ეს სროლა მოახდინეს ქალაქში მცხოვრებმა მაჰმადიანებმა, რომელთაც კავშირი აქვთ აჯანყებულებთან. ერთს მაჰმადიან ვაჭარს დიდძალი იარაღი უნახეს. მოაწყვეს 120 კაცისგან შემდგარი ნაციონალური გვარდია, რომელმაც უნდა დაიცვას ქალაქში წესიერება.

ვენა. დურაცოდან ცნობაა: გემი „ჰერცოგოვინა“ დურაცოდან გავიდა და აჯანყებულთა პოზიციებს სროლა აუტეხა. ღამით ქალაქში კიდევ მოახდინეს უცნობებმა სროლა. ბრძანება გამოსცეს, ვინც ასტეხავს სროლას ქალაქში, იმას ხუთი წლის ციხეს მიუსჯიან. ყველა საშიშ ადგილს რაზმები იცავენ.

ვენა. დურაცოდან ცნობაა: აჯანყებულნი მზათ არიან შერიგება მოხდეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ იარაღი არ აჰყარონ და გამოცხადებულ იქნას ამნისტია. შერიგება, როგორც ფიქრობენ, არ მოხდება. პრონკაბიბდოდა დურაცოდან 4 საათის სავალ მანძილზე იმყოფება და ჯერ ვერ ბედავს შეებრძოლოს აჯანყებულებს.

## დაბა-სოფელი.

**ტობანიერის საზოგადოება** (საჩინოს მხარე). ეს საზოგადოება შესდგება ათი სოფლისაგან: ტობანიერის, კუშუბოურის მიქელეს-ფონის, ქედის, ეწერის, შვანთის, მთის ძირის, ჰყუშურის, წიქვაძის-ფონისა და ჰყვიშისგან. მცხოვრებთა რიცხვი ათას ხუთასამდი ადის, რომელთა მესამედსაც თითქმის აზნაურები შეადგენენ. ტობანიერლები მისდევდენ დღემდი უმთავრესათ სიმინდისა და ბამბის მოყვანას; მევენახობას კი იშვიათად. დღეს კი ნამყენი ვაზის გაშენება საშინელი სისწრაფით სწარმოებს, კარგათ ვარგობს და მოსავალსაც გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე სიმინდი და ბამბა. ყოველწლიურათ აუარებელი ადგილი მუშავდება ნამყენი ვაზების გასაშენებლათ, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მევენახობა პირველ ადგილს დაიკავებს ამ საზოგადოებაში. ხოლო, ვინაიდან ვენახის დამუშავება აქ პრიმიტიულათ ხდება, ძლიერ კარგს იზამს ადგილობრივი სამეურნეო საზოგადოება, რომ გამოგზავნიდეს აქ თავის წევრს, რომელიც აუხსნის ხალხს თუ როგორ უნდა მოვლა და ამით თავიდან აიცდენს მათ ყოველივე მოსალოდნელ ზარალს.

კულტურულის მხრით ეს საზოგადოება თუ წინ არა უკან მაინც არ ჩამორჩება სხვა ჩვენს საზოგადოებებს. მაგალითად, არსებობს რვამდი სასწავლებელი: სამი სამინისტრო (შვანთაში, ტობანიერში და ჰყუშურში) და ხუთი სამრევლო; არსებობს აგრეთვე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, კერძო აფთიაქი და ბაზარი, სადაც ყოველკვირაობით იმართება ბაზრობა, რომელზეც ესწრება მრავალი ვაჭარი, განსაკუთრებით ურიები. ამ ბაზარს დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებლებისათვის, რადგან იგი საშუალებას აძლევს მათ გაყიდონ თავისი ნაჭირნახულევი და შეიძინონ საჭირო ნივთები.

აქ აპირებენ კოოპერატიულ საზოგადოების დაარსებას, რომლის წესდებაც უკვე შედგენილია და წარდგენილი, სადაც ჯერ.

საზოგადოებას განზრახვა აქვს დააარსონ ახალი ტიპის მაღალი პირველდაწყებითი სასწავლებელი, რაზეც სახალხო შკოლების ინსპეკტორმა ბ. ერმანმა დახმარება აღუთქვა ხალხს. ძლიერ კარგი იქნება, რომ ეს სურვილი სისრულეში მოვიდოდეს, რადგან აქ ბევრი მოიპოვება ისეთი, რომელსაც პირველდაწყებითი სწავლა მიუღია ადგილობრივ სასწავლებლებში და შემდეგ სწავლის გასაგრძობათ, უსახსრობის გამო, სხვაგან ვერსად წასულა. ასეთი სასწავლებელი კი საშუალებას მისცემს მათ თავისავე სოფელში განაგრძონ სწავლა დაბალი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, რაიც დიდს სარგებლობას მოუტანს ხალხს.

ეს საზოგადოება მდიდარია აგრეთვე ინტელიგენციით, რომლის უმრავლესობაც თავის უფრო პირად საქმეს ემსახურება, ვიდრე საზოგადოს. ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ საზოგადოებას ხელიდან წაუვიდა ისეთი საქმე, როგორიც არის ფოშტის განყოფილება.

ინტელიგენციის გულცივობას მიეწერება ისიც, რომ დღემდი აქ არ არსებობს სამკითხველო, რომლის ნიადაგიც უკვე მომზადებულია და ყოველი მათგანი გაიძახის მის საჭიროებაზე. როგორც ამბობენ, აქ ერთს დროს კიდევაც არსებულა სამკითხველო, მაგრამ, ამავე ვაჟბატონების წყალობით, სული დაულევია. ეს სამკითხველო ბარებია ადგილობრივ დეკანოზს იუსტინე მამფორიას, რომელსაც, როგორც ამბობენ, თავისი ნებით გაუუქმებია იგი. თუ რამდენათ მართალია ეს, მე არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში კარგს იზამს ბ. იუსტინე თუ შეგვატყობინებს ნამდვილ მიზეზებს სამკითხველოს გაუქმებისას, ანდა ეცდება იმის კვლავ აღდგენას, რითაც დიდათ დაავალებს საზოგადოებას, ვინაიდან სამკითხველო მათთვის ახლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

აშოტ კურატშალატი.

## სია

იმ პირთა, რომელთაც შესწირეს სხვადასხვა ნივთი წერა-კითხვის საზოგადოებას 4 მაისის საღამოს გასამართავათ.

გაგძელება იხ. „იმერ.“ მე-73 №.

იმერეთის ეპისკოპოზი გიორგისაგან 10 მან., ქუთაისის გუბერნატორმა 10 მან. ფულათ, კეკელა როინიშვილისამ 3 ვაზა ყვავილების, ელენე ეზიკოვის ასულისაგან 6 მოქარგული სალფეთქი, სასუხრეზე გადასაფარებელი სალფეთქი და 1 ლიფი, ნოე უზნაძისაგან წყლის გრაფინი, ოლღა ბოკერიასამ ტუალეტის პატარა ნივთი, ნატალია პავლოვისამ მოქარგული ბალიშის პირი, საეპარქიო სასწავლებლის ხელსაქმის მასწავლებლისაგან, პავლოვის ასულისაგან 17 პირსახოცი, ერთი სტოლის გადასაფარებელი ზოლი და 6 სალფეთქი, ქალთა ქალაქის მეორე სასწავლებელმა თამარა მაჭავარიანისა და ანნა ახვლედიანის ხელმძღვანელობით გააკეთეს თერთმეტი პირსახოცი, ანნა ახვლედიანისამ ორი ვაზა ყვავილების, იულია გოცირიძის მეუღლისაგან 3 მან. ფულათ, შუშანა იოსების ასულის კამპანიონის მეუღლისაგან 3 მანეთი ფულათ, სოფიო კიკაჩეიშვილისაგან 1 პერანგის კაკეტკა, მარიამ ნესტორის ასულმა ბოკერიასამ 1 სასუხრეზე გადასაფარებელი, 6 ხილის სალფეთქი და ერთი ჩანთა აბრეშუმის საცხვირსახოცე, ელენე ბესარიონ ხელთუფლიშვილის ასულისაგან 3 მან, ფულათ. სოფიო ხაბურზანიას მეუღლისაგან კონგრესზე მოქარგული ზოლი, დარიკო ქებაძისამ 1 თიხის დათვი, სალბეგოვისამ 1 ბარათი ჩარჩო და საფერფლე, ლენა გიორგობიანის ასულმა 1 მაუდზე მოქარგული ბალიშის საპირე, მარო გოკიელოვისამ 6 მან. ფულათ, დონ დამიან საკაშვილმა 5 მან. ფულათ, ტასიკო ჩაჩიბაიასამ 5 მან. ფულათ, ლიუცია კოკოჩაშვილისამ ვერცხლის პატარა ჭიქა.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.

## „კოოპერაციის“ რედაქციისაგან:

მომხმარებელ, საკრედიტო, შემნახ.-გამს., სამეურნეო და სხვა კოოპერატივების წევრებმა და კოოპერაციის საკითხებით დაინტერესებულმა პირებმა დაუყონებლივ უნდა გამოიწერონ ახალი პიესა:

### „სოფლის მასწავლებელი“

(სცენები კოოპერაციის განვითარებიდან, ოთხ მოქმედებათ; დამატებათ: „თეატრი და კოოპერაცია“).

ყოველმა ამხანაგობამ ხელი უნდა შეუწყოს თავის წევრებს შორის ამ საპრაპაგანდო გამოცემის გავრცელებას: რაც უფრო მეტ გავრცელებას მიიღებს ეს წიგნი, მით უფრო მეტ შეგნება-გათვითცნობიერებას გამოიწვევს ის ხალხში. ეს წიგნი უკვე დაბეჭდილია და ღირს ყდით 35 კაპ. მაგრამ:

**20 ივნისამდე** იმართება ხელის მოწერა და ხელის მომწერნი მიიღებენ მას ყდით მხოლოდ ერთ აბაზათ.

მოვუწოდებთ კოოპერატივების ხელმძღვანელებს, ჟურნალ-გაზეთების აგენტებს, სოფლის მასწავლებლებსა და ღვდლებს დაიკვეთონ საკვიტანციო წიგნაკები ხელის მოწერის მისაღებათ. ეს იქნება საუკეთესო ფორმა დახმარებისა საკოოპერაციო ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებაში. ამ გამოცემაში დახარჯული ფულის გამობრუნება რედაქციას საშვალებას მასცემს გააფართოვოს გამომცემლობა და ახლო მომავალში გამოსცეს მთელი რიგი საპრაპაგანდო და სახელმძღვანელო წიგნებისა, რაც დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენში საკოოპერაციო მოძრაობის განვითარებას. გიმეორებთ, ხელის მოწერა მხოლოდ 20 ივნისამდე გრძელდება და ამიტომ თანამგრძნობნი დაუყონებლივ უნდა შეუდგენ საქმეს. წიგნები გაეგზავნება აგენტებს ფასდადებით (გაგზავნა რედაქციის ხარჯზე, თუ არა ნაკლებ 20 ცალისა იქნება გამოწერილი). „კოოპერაციის“ რედაქციიდანვე. შესაძლოა გამოწერა (20 პროც. დაკლებით, თუ არა ნაკლებ 50 ცალისა იქნება დაკვეთილი) მეორე საპროპაგანდო წიგნაკისა: „ერთობის ძალა“ (მოთხრობა იმის შესახებ. თუ როგორ აიშენა პაწია საზოგადოებამ 35 ათას მანეთად ღირებული წისქვილი)—ფ. 5 კ., მომხმარებელი საზოგადოების დასაარსებლათ საჭირო წესდების პროექტი, დარიგება, პლაკატი და სხვა იგზავნება ფასდადებით 1 მ. 35 კ.

მისამართი წერილებისა და ფულისთვის: Кутаисъ, редакція газ. „Кооперація“, почтовый ящ. № 68.

# პ. ა. ლევანდოვსკის პროგიმნაზია

უმაღლესი ბრძანებით 25 მაისს 1914 წ. გადაკეთდა სრულ 8 კლასიან

# გიმნაზიათ

სახაზინო სავაჟო გიმნაზიების უფლებებით და ყველა კლასებში ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლების შემოღებით. ამბის გაგება შეიძლება კანცელარიაში ყოველდღე დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე.

თფილისი, გუნიბის ქუჩა, სახლი, № 10.

# სამკურნალო აბანო

ძმ. ყორყოლაძეების

სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ „სერნია ვოდში“. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში“ იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

## სახლის პატრონთა საყურადღეოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

## ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში

# ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

## ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქუთაისში

# ველოსიპედები

ყველაზედ იაფად.




შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

ყველაზე იაფად

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

# რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | |
|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| შორაპანს: | საავარაკო საღამოს | 5 საათ. 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| შორაპნიდან: | საავარაკო დილ. | 9 საათ. 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. 38 წ. |

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.